შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

სტუდენტთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები

მარნეული
2021

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის (შმდგომში - კოლეჯი) მეთოდიკური ხასიათის დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციასა და სოციალიზაციას სასწავლო გარემოსთან.

პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია-სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი პირებია სასწავლო გარემოს შესახებ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ - უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სტუდენტური ცხოვრების შესახებ - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

1. იმისათვის, რომ ახლად ჩარიცხულმა სტუდენტმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, წარმატებით გაიაროს კოლეჯთან ადაპტაციის პროცესი და გადაიქცეს დაწესებულების სრულუფლებიან წევრად.
2. სტუდენტობის პირველი დღეები გარკვეულ სტრესთან არის დაკავშირებული. თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს ამ სტრესის დაძლევას სასწავლო პროცესის დაწყებიდან მოკლე დროში, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა რისკის ქვეშ ექცევა. ასეთ პირობებში არსებითად კლებულობს სწავლის მოტივაცია და, შესაბამისად, სტუდენტის პროდუქტიულობაც.
3. სოციალიზაციის პროცესი - ახალი სტუდენტის ადაპტაცია ეტაპობრივად ხორციელდება.
4. ადაპტაციის პროცესი რეალურად იწყება ჯერ კიდევ კოლეჯში ჩარიცხვამდე. კოლეჯში ჩარიცხვამდე კანდიდატს უყალიბდება გარკვეული მოლოდინები და წარმოდგენები კოლეჯის შესახებ, რომლებიც საფუძვლად ედება შემდგომი ადაპტაციის პროცესს.
5. სტუდენტობის დაწყებიდან პირველი ორი-სამი თვის განმავლობაში, ადგილი აქვს სტუდენტის მოლოდინების გადახედვას. როგორც წესი, ახალ სტუდენტს გადამეტებულად პოზიტიური მოლოდინები აქვს, შესაბამისად, პირველი რამდენიმე თვე მტკივნეულად მიმდინარეობს, რადგან ჩამოყალიბებული მოლოდინები პირისპირ დგება რეალობასთან. რაც უფრო ზუსტ და დეტალიზებულ ინფორმაციას გაავრცელებს კოლეჯი სტუდენტებში მით უფრო ადეკვატური მოლოდინები და წარმოდგენები უყალიბდება სტუდენტს და მით უფრო უმტკივნეულოდ მიმდინარეობს ადაპტაციის პროცესი. არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო, სტუდენტს შესაძლოა იმდენად არაადეკვატური მოლოდინები შეექმნას, რომ პირველ რამდენიმე თვეში გადაწყვიტოს კოლეჯის სრული იმედგაცრუების ფონზე. სოციალიზაციის ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში სტუდენტი იპოვის საკუთარ ადგილს და დროთა განმავლობაში თავს სამსახურის სრულუფლებიან წევრად იგრძნობს.
6. ახალი თანამშრომლების სოციალიზაციის ხელშეწყობისათვის შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე მეთოდის გამოყენება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:
ა) პირველი შეხვედრა კოლეჯთან - ახალი სტუდენტის პირველი სასწავლო დღის პირველ შთაბეჭდილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზაციის პროცესის შემდგომი მიმდინარეობისთვის, ამიტომ კოლეჯმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ეს დღე პოზიტიური და კომფორტული იყოს სტუდენტისთვის; სასურველია, პირველი სასწავლო დღე პროგრამის ხელმძღვანელთან, კოლეჯის დირექტორთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრით დაიწყოს; მოკლე შეხვედრის ფარგლებში დირექტორი ესაუბრება სტუდენტს სასწავლებელში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებზე, კულტურის საკვანძო ღირებულებებსა და სხვა ზოგად თემებზე;
ბ) კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაცნობა ახალი სტუდენტებისთვის; იმისათვის, რომ სტუდენტმა ყოველდღიურად არ იგრძნოს თავი „ახლად“ მისთვის საჭირო ოთახების ძიებისას, ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელი მოკლე ექსკურსიას

უწყობს შენობაში - აჩვენებს სასწავლო აუდიტორიებსა და ლაბორატორიებს, საპირფარეშოების და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების მდებარეობას;
გ) თანამშრომლების გაცნობა - ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადამდენელი აცნობს სტუდენტებს ადმინისტრაციულ პერსონალს;
დ) მენტორი თანამშრომლის გამოყოფა - სოციალიზაციის ხელშეწყობის ეფექტიანი სტრატეგიაა; მენტორში იგულისხმება გამოცდილი თანამშრომელი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველმხრივ ეხმარება სტუდენტს ადაპტაციის პროცესში, პასუხობს მის შეკითხვებს, აცნობს მნიშვნელოვან დოკუმენტებს; მენტორი შესაძლებელია იყოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.
ე) შიდა ნორმებსა და რეგულაციებზე;
ვ) საკონტროლო შეხვედრა - სტუდენტი ხვდება დირექტორს ან პროგრამის ხელმძღვანელს და მათთან ერთად განიხილავს კოლეჯში სწავლის განვლილ პერიოდს; მსჯელობა მიმდინარეობს იმ პრობლემებზე და მიღწევებზე რომელთაც სტუდენტი წააწყდა. რაც უფრო ღია და მეგობრულია შეხვედრის გარემო, მით უფრო მეტად უწყობს იგი ხელს სოციალიზაციას; მოკლე, 15 წუთიანი შეხვედრით დირექტორს შეუძლია, არსებითად შეამციროს ეს შფოთვა და დიდი წვლილი შეიტანოს სტუდენტის სწავლის მოტივაციისა და პროდუქტიულობის ზრდაში.
7. კონკრეტული სტუდენტის სოციალიზაციის ღონისძიებებს გეგმავს სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი;